1938

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ოქტომბრელი



1938 №10

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოქტომბერელი

№ 10

ოქტომბერი

1938 წ.

გაგზავნილია „კომუნისტი“

რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 31

ტელ. № 3-02-61

საქ. ა. ლ. კ. კ. ცეკას და საქ. განსახკომის ერთთვიური ორგანო

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

		გვ
1.	ოცი წელი—(მოწინავე)	1
2.	მედეა კანდელაკი (მოწაფე)—ოცი წელი შეუსრულდა (ლექსი)	2
3.	ჯიმშერ კასრაძე (მოწაფე)—კომკავშირს (ლექსი)	2
4.	ლავრ. ჭიჭინაძე—ჩიტოს საჩუქარი (მოთხრობა)	3
5.	ალეკო შენგელია—ისე კარგი უნდა ვიყო (ლექსი)	4
6.	ცქვიტი—რთველა (მოთხრობა)	5
7.	ი. გრიშაშვილი—დედის წერილი (ლექსი)	8
8.	თ. შანშიაშვილი—ხასანის ტბასთან (ნარკვევი)	9
9.	სერგო მინაშვილი—გურამის წერილი ქალაქიდან (ლექსი)	11
10.	ნინო ნაკაშიძე—ბეკეკა (ზღაპარი)	12
11.	ლ. კახიანი—კონდორი (ნარკვევი)	15
12.	გ. ახობაძე ედისონი (წერილი)	16
13.	თ. შავერზაშვილი—ბეკეკა (ნოტი)	გარეკანის მე-4 გვ.

ჟურნალი გაფორმებულია მხატვ. **დონის** მიერ.

გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვ. **ი. ქოქიაშვილს.**

პასუხისმგებელი რედაქტორი—ლ. ჭიჭინაძე **პასუხისმგებელი მდივანი თ. შანშიაშვილი**

გადაეცა წარმოებას 7/X-1938 წ. ქაღალდის ზომა 60×92

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/X ფორმათა რაოდენობა 16 გვ. $9^1/_4 \times 14$

მთ. № 2192 ტირ. 12.000, შეკვ. № 970. სტამბა „კომუნისტი“, კამოს ქ. № 68.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



3312

საკ. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ა. კოსარევი

ოცი წელი

ოცი წლის მანძილზე ჩვენი საყვარელი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაიზარდა და განმტკიცდა ლენინური კომკავშირი. კომკავშირი მუდამ თავდადებულად იბრძოდა ლენინურ-სტალინური პარტიის საქმისათვის. მან ღირსეული ჯილდო მიიღო უმაგალითო ბრძოლისა და შრომისათვის. ლენინურ-სტალინური კომკავშირი სამოქალაქო ომის ფრონტებზე საბრძოლო დამსახურებისათვის დაჯილდოებულია წითელი დროშის ორდენით, ხოლო სოციალისტურ მშენებლობაში გმირული მონაწილეობისათვის—შრომის წითელი დროშის ორდენით.

ჩვენ ბავშვებს უყვართ ლენინურ-სტალინური კომკავშირი, ოცნებობენ მის რიგებში ჩადგომაზე და უხვ საჩუქრებს უძღვნიან მას მისი არსებობის ოცი წლის თავთან დაკავშირებით.

ჩვენმა ნორჩმა პოეტებმა მედეა კანდელაკმა და ჯიმშერ კასრაძემ საყვარელ კომკავშირს საკუთარი ლექსები მიუძღვნეს.

ქვემოთ ვათავსებთ მათ ლექსებს.

თბილისი

ოცი წელი შეუსრულდა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დღეს ჩვენია გამარჯვება,
გაიზარდა კომკავშირი,
ოცი წელი შეუსრულდა,
დროშებიც აქვს ბევრი, სმირი.

უბრძოლია, კვლავ იბრძოლებს,
გამარჯვების დროშას იჭერს,
მიხარიან, რომ ვუყურებ
კომკავშირელ გოგო-ბიჭებს.

ათი წელი შემისრულდა,
პიონერი ვხდები მალე,
ჩემი აზრი, ჩემი ფიქრი
კომკავშირსაც შემოვავლე.

მიხარიან, თანაც მიყვარს
ეს ზეიმი გოგო-ბიჭის,
ერთი გზა გვაქვს, ერთი ფიქრი,
და ცხოვრებაც ერთად ვიცით.

მე-18 სკოლის III კლასის მოსწავლე **ომდეა კანდელაკი**

კომკავშირს

კომკავშირის ოცი წლისთავს
სიამაყით ვეგებები,
რადგან ვიცი, ძლიერ მალე
მათ რიგებში მეც ჩავდგები.
მათ წინაშე ფიცს ვდებ წრფელსა,
რომ ვისწავლი ფრიადებზე,
დისციპლინას განვამტკიცებ
და ვიზრუნებ მომავალზე.

თუ სამშობლო მომიწოდებს,
ბრძოლის ველზე მსწრაფლ გავჩნდები,
რომ თავხედ მტერს, ბელადს ვფიცავ,
ვაწყევლინო თავის ბედი.

ბელადს ვფიცავ, ბელადს ვფიცავ,
რომ სამშობლოს მხნედ დავიცავ!

მე-18 სრული საშ. სკოლის V კლასის მოსწავლე **ჯიმშერ ქასრაძე**

დავ. ჭიჭინაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჩიტოს საჩუქარი

კლასში რაზმის ხელმძღვანელი შემოვიდა. პატარა ბავშვები შემოეხვივნენ, კითხვებით ავსებდნენ. საიდგანლაც ჩიტოც გამოხტა, მივიდა ხელმძღვანელთან და ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— ოჰ, ჩიტო, ჩიტო ჩიორაო, — ასე მოფერებით მიმართა რაზმის ხელმძღვანელმა.

— რატომ მეძახი ჩიორას, ახლა ხომ პატარა აღარა ვარ?-ისე ლაპარაკობდა ჩიტო, ვითომ მართლა დიდი ქალი გამხდარიყო.

ჩიტო ლამაზი გოგონაა. ყველას აოცებს, ლექსს რომ იტყვის ხოლმე, ზარივით რეკავს მისი წკრიალა ხმა.

ერთხელ ჩიტოს სკოლაში დიდი საღამო გამართეს. საღამოში მწერლებიც მონაწილეობდნენ. დიდი დარბაზი გაჭედილი იყო მოწაფეებით, მასწავლებლები აქა-იქ იყვნენ ბავშვებში ჩამსხდარნი.

აიხადა ფარდა. გრძელ, წითელსაფარიან მაგიდაზე სამგან იდგა მშვენიერი თაიგული. მაგიდასთან ბავშვების საყვარელი მწერლები ისხდნენ. მწერლებმა წაიკითხეს ლექსები და მოთხრობები. ბავშვებმა იცეკვეს, იმღერეს, ჩიტო კი ნაზად გამოვიდა სცენაზე და ლექსი ჩაწკრიალა. მოწონების ნიშნად ტაში აგრიალდა.

— ჩიტომ გვასახელა დღეს მწერლებთან, — თქვა რაზმის ხელმძღვანელმა და მოფერებით თავზე უსვამდა ხელს.

ეს სიტყვები შეშურდა მეორე გოგონას.

— მერე რაა, ლექსი რომ თქვა კარგად, ეგ ხომ ფრიადოსანი არაა, მე კი ფრიადოსანი ვარ...

— ჰო, შენც კარგი გოგონა ხარ, — ახლა მას მიუალერსა ხელმძღვანელმა.

ჩიტომ მორცხვად დახარა თავი, ფრიადოსნობით ამხანაგმა აჯობა. აქ კი ლექსის თქმამ ვეღარ უშველა. ამის შემდეგ ჩიტოს ეს სიტყვები აღარ დავიწყებია. თუ კი კარგოსანი გავხდი, ფრიადოსნობასაც მივაღწევო,-ფიქრობდა ის. მთელი ზაფხული ჩიტო სულ ამაზე ოცნებობდა, მაშინაც კი, როცა რაზმის ხელმძღვანელს ხელი ჩამოართვა.

რაზმის ხელმძღვანელმა უცებ ხელი ხელს შემოჰკრა და ბავშვებს მიმართა:

— აბა, დავსხდეთ, ამხანაგებო!

პატარები იმწამსვე თავიანთ ადგილებზე დალაგდნენ, სულგანაბულნი უცქეროდნენ ხელმძღვანელს, რაღაც ახალი ამბის თქმას ელოდნენ ამ პატარა კრებაზე.

ხელმძღვანელმა ბავშვებს დალაგებით მოუთხრო ლენინურ კომკავშირზე: ახლა კომკავშირს ოცი წელი უსრულდება, მთელი ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობა ზეიმობს ამ დღეს, ამ დღესასწაულს თქვენც საჩუქრებით უნდა შეხვდეთო...

საუბრის დამთავრებისთანავე წამოიშალა პატარების თითები, თითქოს ადრევე მოეფიქრებინათ, თუ ვის რა საჩუქარი უნდა დაემზადებინა. ყველანი ერთი მეორეს ასწრებდნენ:

— მე დავამზადებ ავიომოდელს.

— მე ლექსებს დავწერ ჩემს ფრიადოსან მეგობრებზე და მივუძღვნი კომკავშირის ოცი წლის თავს.

— მე კიდევ, როგორც ფრიადოსანი, ვიძლევი პირობას: ერთად ვიმეცადინებთ მე და ციალა და არც ერთ საგანში არ მივაღებინებ ცუდს.

ყველა საკუთარ ვალდებულებას იღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა მოდელისტი ვ. აპპელეტი ამზადებს მოდელს, მიძღვნილს კომკავშირის XX წლისთავისადმი.

ბდა. ჩიტო უსმენდა ამხანაგებს, თან ხელი ჰქონდა აწეული. ერთი კარგი საჩუქარი მეც უნდა მივართვაო, – ფიქრობდა თავისთვის.

— ჩემი საჩუქარი, ამხანაგებო, ამ სახელოვანი იუბილესათვის ფრიადზე სწავლა იქნება.

ჩიტომ თავისი დაპირება პირნათლად შეასრულა პირველ მეოთხედში. წლის ბოლოსაც ასე უნდა ვიქნეო,—ამბობს ის. ახლა პატარა ჩიტო ძალიან გახარებულია, ვეღარავინ წამოსძახებს შენ ფრიადოსანი არა ხარო.

ისე კარგი უნდა ვიყო

ალეკო შენგელია

აქაო და პატარა ხარ,
რატომ რვა წლის არა ხარო,
რა იქნება, მეც სკოლაში
გამგზავნოთ და გამახაროთ!?

რომ იცოდეთ, მეგობრებო,
ეჰ, რამდენჯერ მითქვამს ასე,
ერთხელ ჯიბრზე არ ვჭამე და
დედილოც კი გავაბრაზე.

წელს კი ისე გამახარეს,
ჩემს დედიკოს ჩავეკონე,
სიხარულით რომ ვტიროდი,
ნეტავ, ფისოს ვინ ვეგონე?

დავუარე დილით ეზოს,
ყვავილებიც ვნახე იქვე,
ალაქლაქდნენ, გაიხარეს
და განზრახვა ჩემი მიქეს.

ვუთხარ: „რა ვქნა, ნუ მოიწყენთ,
თქვენთვის მუდამ არ მეცლება,
ვისწავლი, და სასახელო
მეგობარი გაგეზრდებათ.

ისე კარგი უნდა ვიყო,
ყველა თქვენგანს გაგეხარდეთ,
თქვენ კი არა, ხელმძღვანელსაც
სხვაზე უფრო რომ ვუყვარდე.

ახლა კიდევ კომკავშირზე
ლამაზ ლექსებს გავამზადებ,
ისე ტკბილს და ისე მართალს,
ძია შიოს ნათქვამს ჰგავდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველა

ის დღესაც ცოცხალია. ამაყად დადის და გრძელ წვერებს დააცანცარებს. „რთველა“ ჰქვიან. ბევრმა არ იცის, ეს სახელი რისთვის უწოდეს.

დილა-საღამოობით რთველა ნახირს კარგი ბელადივით წინ მიუძღვის და ფეხებს მწყობრად მიაბაკუნებს.

— ბე... ბე... ე... — თავგამოდებით ბღავის რთველა, როცა სალომეს სახლს მიუახლოვდება. ნახირს ხელად ჩამოშორდება და ეზოს კარებში მაღალრქებიან თავს რომ შემოჰყოფს, უფრო სხვა ხმაზე დაიკიკინებს და გაფოთებული თვალებით ვილაცას ეძებს.

— აა.. მობრძანდი, რთველა, მობრძანდი! ნუ გეშინიან, მეც აქ გახლავარ! — გამოსძახებს პატარა სანდრა და აბრეშუმივით წმინდა ბალანს თავის საყვარელ თხას შეაგებებს.

— აბა, დედა, საწველელი ჩამოიტანე. დღეს ასეთი გაბერილი ჯიქანი მოიტანა, როგორც გუდა, — ეუბნება სანდრა დედას, თხას თვალებზე უსვამს ხელს, მერე გრძელი ბეწვებიდან ძურწა ბალახს აცლის.

— უი, შე საწყალო ჩემო ბეკეკა, შენს თავს ხომ დამილუპავდნენ, მე რომ არ გამოგსარჩლებოდი?! — უალერსებს სანდრა და აწეწილ ბალანს უსწორებს. თხა ბალახს გემრიელად ახრამუნებს, ზოგჯერ თავს ზევით ასწევს, ყბას გააჩერებს და წუთით გაშტერდება, თითქოს სანდრას ლაპარაკს ყურს უგდებსო.

რთველა მართლაც ამ პატარა ბიჭმა დაიხსნა სიკვდილისაგან. ეს ამბავი ასე მოხდა: შემოდგომაზე, როცა შრომის უბნის კოლმეურნეობა რთველისათვის მოემზადა, კოლმეურნეობის მზარეულმა განკარგულება მიიღო: ხვალ თხა დაკალი და, როგორც რთველის წესია, კომშიანი თხის ხორცით გაგვიმასპინძლდიო.

სანდრას გამოზრდილი თხა ყველაზე მსუქანი და დიდი იყო, არჩევანი იმაზე დადგა. საღამოს ჟამს, როცა სანდრამ საძოვრიდან თხები მორეკა, სანდრას „ცანცარა“ სამზარეულოს გვერდით პატარა ოთახში ცალკე შეაგდეს და კარები გადმოურაზეს. დილაადრიან კოლმეურნეებმა მრავალი მხრიდან დიდ ზვარში მოიყარეს თავი და გოდრებისა და ყუთების მთები დააყენეს. ათისთავებიც მოვიდნენ და რიგებად დაყოფილ ვენახს მიესივნენ. ატყდა გაუთავებელი ლაპარაკი, ოხუნჯობა და სიცილ-ხარხარი. აქამდე სულგანაბულმა ვენახმა ახლა ხმა ამოიღო და მრავალნაირად ამეტყველდა.

სულ მოკლე ხანში ყურძნით სავსე გოდრების ზიდვაც დაიწყეს და ურმებთან ხარ-კამეჩი მორეკეს.

— ხიო, ხი, შე სამგლე, შენა! — უტევდნენ საქონელს მეურმეები და ყურძნის გოდრებით დატვირთულ ურმებს დიდი მარნისაკენ ეზიდებოდნენ. მარანში ყურძნის საწურავი ახალი მანქანა იდგა და ყურძენს ელოდა. ზვარში უზარმაზარი კაკლის ქვეშ მზარეულს დიდი ცეცხლი დაენთო. ზედადგრებად ლოდები დაეწყო და ქვაბების გასაფუფქად წყალი აედუღებინა.

— კაცო, ზაქრო, თხა სად დაამწყვდიეთ, რომ არსად სჩანს! სამზარეულოს გვერდითა ოთახი ცარიელი იყო, გომურშიაცა ვნახეთ, ბაკშიც მოვძებნეთ, მაგრამ იმის ასავალ-დასავალი ვერსადა ვნახეთ.

ამ სიტყვებით პატარა ტანის კაცი მზარეულს თავზე წამოადგა.

— რას ამბობ, ბიჭო, როგორ თუ არ არის?! — შეუბღვირა მზარეულმა, ქვაბს დიდი ქაფქირი დაურია და გაფუფქული ქათმები ბალახზე გადმოყარა.

— ჰო, ჰო, გელაპარაკები, უბანი მთლად გადმოვატრიალე, და ის თხა ცამ ჩაყლაპა თუ დედამიწამ, არავინ იცის.

რაღას იზამდნენ. ადგნენ და დეკეული წამოაქციეს. როცა მუშაობით მოქანცული ხალხი გემრიელ სადილს შემოუსხდა, ჯერ დაკარგულ თხაზე იოხუნჯეს, შემდეგ, ქარვისფერი ღვინო რომ შეუჯდათ თავში, კაი „მაყრული" და „სუფრული" შემოსძახეს, მერე ზედ „ცანგალა" დააყოლეს, და სართვლო ქეიფი ახლა კი კარგად გახურდა.

— ტაში მეთქი, ტაში, ქალო!-მოესმათ გამხიარულებულ კოლმეურნეებს შემოძახილი და უკან რომ მიიხედეს, ტაში უფრო მძლავრად შემოკრეს და „ცანგალაც" გააფიცხეს.

— ერთი შეხედეთ, მაგ კუდიანს, შეხეთ, რა მოუგონია!

— აი დედასა, რა ხალისიანი ქალია, ყველაფერში სტახანოველია. ყოჩაღ, სალომე, ყოჩაღ! - მიაგება ხალხმა სიცილით, და წრე შუა გაიყო, რომ სალომესათვის გზა დაეთმო.

ხელებგაშლილი სალომე კი ტანის ნარნარი რხევით ბილიკზე ცეკვით მოსრიალებდა, აკიდოებს კოხტად მოათამაშებდა. სალომეს ყურძნით დაჯონჯლილი გვირგვინი თავზე დაედო. ისე ამშვენებდა ეს სამკაული, რომ მაყურებლები ხალისით ერთი-ორად აივსნენ. სალომე კი წრეში ფრთაგაშლილი არწივივით ცეკვით შემოიჭრა, მოხუც ნიკასთან შეჩერდა და თავის დაკვრით საცეკვაოდ გაიწვია.

მოხუცმა გამოწვევა მიიღო, ჩიბუხი პი-

რიდან გამოიღო და ქედანივით შეტოტმანდა. ჟივილ-ხივილი გაო[illegible] ტაში უფრო გაძლიერდა.

— აი, აგიშენდათ ოჯახი, ა ყ[illegible] მოხუცო ... ტაში. ტაში, ბიჭებო ...

კოლმეურნეებმა ლხინიც მალე მოათავეს და ყურძნის კრეფას უფრო ხალისიანად შეუდგნენ. ორჰექტარიანი ზვარი საღამომდე მოკრიფეს და სახლებში დასასვენებლად წავიდნენ. ბინდისას, როცა დავახშმებულმა მთვარემ მთის იქით ამოანათა, კოლმეურნეთა ახალგაზრდობამ ლხინის გასაჩაღებლად თავი დიდ მოედანზე მოიყარა. ყველა იქ იყო, ყველა, გარდა მხიარული სალომესი.

— ნეტა იმ ქალს რა დაემართა, აქობამდე რომ არსადა სჩანს?! - ეკითხებოდნენ ერთმანეთს კოლმეურნეები და რაკი სალომემ შეიგვიანა, გოგოები გაუგზავნეს: ჩქარა მოდი, რას ჭვალოდინებ, ხომ იცი, ლხინი უშენოდ არ გაჩაღდებაო.

სალომე კი ამდროს სახლში იყო, თავისი ბიჭისათვის მკლავში ჩაევლო ხელი და ჩასციებოდა:

— როგორ გაბედე, როგორ გაბედე მეთქი, შე საძაგელო, თავზე ლაფი როგორ დამასხი, სირცხვილით ვიღას ვეჩვენო?!

— შენ რათა, დედა? ეგ საქმე ხომ მე ჩავიდინე... მე თვითონ,- შეწუხებული ხმით წარმოთქვა ბავშვმა და გაჩუმდა.

კარებს ვიღაცა აკაკუნებდა: სალომე ადგა და კარი გამოაღო. ორი გოგონა სალომეს სიცილით შეეფეთა და ქაქანით უთხრეს:

— სალომე, მოედანზე გელიან ჩქარა მოდიო.

— ჰო, კარგი. უთხარით, ახლავე გიახლები-თქო.

გოგოები გაცვივდნენ, სალომე კი ისევ შვილს მიუბრუნდა:

— აბა, ყმაწვილო, წამობრძანდი, თხას თოკში ხელი წაავლე და საზოგადოებას შენივე ხელით მიჰგვარე. ვნახავთ, მაგ სირცხვილს როგორ მოიწმენდ.

ორივენი გარეთ გამოვიდნენ და მთვარით გაშუქებულ გზას დაადგნენ. დაწინაურებულ სალომეს სანდრა თოკგამობმული

ეროვნული ბიბლიოთეკა



თხით მისდევდა და წინაძღოლილ თავის ჩრდილს თავჩალუნული დაჰყურებდა.

მოედანს კიდეც მიუახლოვდნენ. ხალხმა სალომეს თვალი შეასწრო თუ არა, სიხარულის ყიჟინა დაჰკრეს.

— არიქა, ხალხნო, სალომეს, მგონი, თხა უპოვნია!

— მართლა თხა მოჰყავს... ნეტავ სად იყო, სად გამოძებნა?

— რა ყოჩაღი დედაკაცია! მაგას ხომ არაფერი არ გამოეპარება, აი, ყოჩაღ შენ ქალობას! — გაისმა აქეთ-იქიდან.

სალომე შეჯგუფულ ხალხს მიუახლოვდა და შესძახა:

— ამხანაგებო, აი, დაკარგული თხა მოგგვარეთ. მაგრამ ამის ამბავს მე ნუ მკითხავთ, ყველაფერს ეს ვაჟბატონი მოგახსენებთ.

სალომე. ისეთი კილოთი ლაპარაკობდა, რომ ხალხს ეგონა სხვა რაღაც ამბავი მომხდარაო და მიყუჩდა.

— აბა, ყმაწვილო, მობრძანდი და გულახდილად ყველაფერი მოახსენე. — სალომემ უკან დაიწია, ხალხი კი სანდრას რკალივით შემოერტყა და სმენად იქცა. სანდრამ ასე დაიწყო:

— ეს თხა დასაკლავად ისე შემეცოდა, რომ ველარ მოვითმინე და სისხამ დილაზე გადავმალე. ამ ზაფხულს ხომ ამ თხას სულ მე ვმწყესავდი, მე ვბანდი და ვასუფთავებდი, და ისე შემეჩვია, რომ ბალღივით სულ უკან დამდევდა. ერთხელ ნახირიდან გამოპარულიყო და სკოლის კარებზე მიცდიდა. მეც ძლიერ შემიყვარდა და...

— ბეე... — დაიბღავლა თხამ, თითქოს სანდრას სიტყვები დაუდასტურაო. ირგვლივ ყველას სიცილი აუტყდა, ყველას გულზე მოეშვა, ბავშვმა კი უფრო თამამად განაგრძო:

— დღეისათვის რომ ამის დაკვლა გადაწყვიტეს, მთელი ღამე არ მძინებია. განთიადისას ჩამეძინა და სიზმარშიაც ისევ ეს თხა ვნახე: ჩემ ფანჯარას მოსდგომოდა და საცოდავი თვალებით შემომცქეროდა. თან ცრემლები ისე ღაპაღუპით ჩამოსდიოდა, რომ მეც ვიტირე. — შენი ჭირიმე, სანდრა, დამიხსენ, თორემ მკლავენო, — ასე მეხვეწებოდა. თქვენ რომ ამისი თვალები გენახათ, ალბათ, თქვენც ჩემსავით მოიქცეოდით. როცა გამომელვიძა, ოდნავ გარიჟრაჟებულიყო. ჩუმად ავდექი, სამზარეულოს ოთახისაკენ გავწიე და ეს საწყალი ხევის იქით ტყეში დავმალე.

— აი ყოჩაღ, ბიჭო, ყოჩაღ! აბა, ძმაო, რაკი ეგრეა, ეგ თხა შენ გეკუთვნის და კეთილადაც მოგახმაროს, — ახმაურდა ხალხი აქეთ იქიდან. იმ დღის ალსანიშნავად თხას რთველა დაარქვეს და. ის დღესაც ცოცხალია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ი. გრიშაშვილი

დედის წერილი

შვილო! საზღვარს გაუფრთხილდი,
არ მიენდო მტრის ოინებს,
ასი ყური გამოისხი!
ასი თვალი იქონიე!

ჩვენს წმინდათა—წმინდა მიწას
ემუქრება მტერი დრენით,—
ცოცხალ რკალად შემოერტყით
ჩვენი ქვეყნის მესაზღვრენი!

მთელი ხალხის მხარდაჭერით
გავიმარჯვებთ, გენაცვალე;
ნურაფრისა გეშინიან,
თუ ატყდება ომი ხვალე...

თუ ატყდება ომი ხვალე,—
მასახელე, ჩემო ბიჭო,
მტერი საზღვარს არ მოუშვა;
იქვე უნდა დაამიწო!

თ. შანშიაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხასანის ტბასთან

ამ ცოტა ხნის წინათ იაპონიის სამხედრო ხროვამ გადმოლახა ჩვენი საყვარელი სამშობლოს წმინდათა-წმინდა საზღვარი. იაპონელი სამურაები შეეცადნენ ჩვენი დედა-სამშობლოს მიწაწყლის ხელში ჩაგდებას, მაგრამ გმირმა საბჭოთა მესაზღვრეებმა და მთელი საბჭოთა ხალხის საყვარელმა წითელმა არმიამ საკადრისი პასუხი გასცეს გათავხედებულ მტერს. იაპონელი სამხედრო ხროვა განიდევნა ჩვენი საზღვრებიდან.

ქვემოთ ვათავსებთ ეპიზოდებს ამ ბრძოლებიდან.

ზაოზერნაიას სიმაღლე

წითელი არმიის ნაწილები სრული წესრიგით უახლოვდებიან ზაოზერნაიას სიმაღლეს. სიფრთხილით ეფარებიან ყოველ ბუჩქს, ლოდსა და ბექობს. სიმაღლე ჯერ კიდევ შორსაა, მაგრამ კარგად მოჩანს მისი ამწვანებული კალთები. იაპონიის სამხედრო ხროვამ წინა დღეებში მოახერხა ზაოზერნაიას დაკავება, სასწრაფოდ გამაგრდა და შემდეგ წინსვლაზე ოცნებობდა.

წითელარმიელები საკმაოდ მიუახლოვდნენ მტერს, ფეხზე სიარული უკვე სახიფათო გახდა. ზოგი დაიკუზა, ზოგი წაწვა და შეუმჩნევლად დაიწყო ცოცვა. მეტყვიამფრქვევეებმა თავზე ბალახი, ყვავილი და ხის ფოთლები გაიკეთეს. ტყვიამფრქვევიც ამნაირად შეახამეს და შეუმჩნევლად დაიწყეს მოძრაობა. მეთაური ყველაზე წინ მიხოხავს. ხანდახან ხელით რაღაცა ნიშანს იძლევა და კვლავ წინ მიხოხავს.

დაძაბული სიჩუმეა. არავინ ხმას არ იღებს. გადაჩურჩულებასაც ვერ ბედავენ. ყველას შაშხანა ჩაუბღუჯავს, განაბულა და სუნთქვაშეკრული მიხოხავს.

ბუჩქები გარინდებულა, ფოთლებიც არ ირხევა, თითქოს ისინიც თანაუგრძნობენ არმიელებს. უცებ სიჩუმე დაირღვა, სადღაც მახლობლად თოფი გავარდა. მას ტყვიამფრქვევიც აჰყვა და შორეულმა ზარბაზანის ხმამაც ბანი მისცა. მოწინააღმდეგემ შეამჩნია წითელარმიელების მიახლოვება და ტყვიამფრქვევის ცეცხლით მოისურვა მათი შეჩერება. აკაკანდა საპასუხო ტყვიამფრქვევი, მას სხვა წითელარმიელთა ტყვიამფრქვევიც მიეშველა, და ჰაერი აივსო ხმაურით. ბრძოლაში არტილერიაც ჩაერია. ისმოდა ყრუ გრგვინვა და გულშემზარავი გრიალი. სულ ახლოს კვდებოდა ყუმბარები, მიწას გლეჯდა და ზევით იტაცებდა.

მტერს ხელსაყრელი პოზიცია ეჭირა, ზაოზერნაიას სიმაღლიდან პირდაპირ დაჰყურებდა წითელარმიელთა ნაწილებს.

სვლა გაძნელდა. იაპონელებმა გრიგალისებური სროლა დაიწყეს, მაგრამ აი, მოულოდნელი ზუზუნი გაისმა, თანდათან მოახლოვდა, და სულ მალე წითელარმიელების თავზე თვითმფრინავთა ათეული გამოჩნდა. ფრთებზე კარგად მოჩანდა ხუთქიმიანი წითელი ვარსკვლავები.

— ჩვენები ჰრიან! — წამოიძახა რომელიღაც წითელარმიელმა, და ყველას გული სიხარულით ათრთოლდა.

თვითმფრინავები იაპონელთა ხაზისაკენ გაეშურნენ... მათ სხვები მოჰყვნენ, და ფოლადის ფრინველებმა ცა დაფარეს.

იაპონელთა ცეცხლი ერთ წამს შეჩერდა, შემდეგ კი ძველებური სიძლიერით წამოვიდა.

— წინ კომუნიზმისათვის! — გაისმა მეთაურის ვაჟკაცური ყიჟინა, და როგორც ერთი, ყველა აიმართა. ძლიერმა გრიალმა გააყრუა მიდამო. იაპონელთა სანგრებს ნისლი დააწვა, ყველაფერი აირია ერთმანეთში. წელანდელი მშვიდი სიმაღლე, რომელზედაც იაპონელები იყვნენ, ვულკანის კრატერს დაემსგავსა. ჰაერში განუწყვეტლად ადიოდა მიწის ბელტები, ტყვიამფრქვევის ნამსხვრევები, ადამიანთა ტანსაცმელი, ფიცრები, ყუმბარის ნამსხვრევები და სხვა სამხედრო საჭურველი.

სიმაღლის თავზე კი განუწყვეტლად დაფრინავდნენ წითელვარსკვლავიანი თვითმფრინავები. ისინი წუთით მიიმალებოდნენ ღრუბლებში, შემდეგ ისევ გამოჩნდებოდნენ, დაბლა დაეშვებოდნენ და ცეცხლს აყრიდნენ იაპონელ ბრბოებს.

მებრძოლები უფრო გამხნევდნენ, კვლავ წინ წავიდნენ. ახლა სხვანაირი ხმაური გაისმა ველზე. გოლიათური საბჭოთა ტანკები გამოჩნდნენ — ღრინავდნენ, ხრიალებდნენ და საოცარი სისწრაფით მიიწევდნენ წინ.

— მებრძოლებო, მიჰყევით ტანკებს! — გაისმა ძახილი, და ყველა ამოვიდა საფარიდან. ძლიერმა ტანკებმა გადათელეს იაპონელთა მავთულლობურები, გაქელეს სანგრები და მტრის სიღრმეში შეიჭრნენ. ძლიერი ვაშას ძახილით მებრძოლები სიმაღლეზე აიჭრნენ. სიმაღლიდან კარგად მოჩანდა, როგორ გარბოდნენ თავზარდაცემული იაპონელები, მაგრამ ისინი შორს ვერ მიდიოდნენ, გზაში ეცემოდნენ. წითელარმიელთა ცეცხლს ვერ ემალებოდნენ. ზაოზერნაიას სიმაღლე მტრის ცხედრებისაგან გაიწმინდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მკერავი მეშჩანკინი

მეშჩანკინს ყველა იცნობდა ასეულში, ტანსაცმელს უკერავდა მებრძოლებს. თავისუფალ დროს ტყვიამფრქვევს სწავლობდა. ააწყობდა, დაშლიდა. სასროლო ვარჯიშობის დროს სხვას არ ჩამორჩებოდა. ისიც ესროდა ნიშანში და სულ მოკლე ხანში მეტყვიამფრქვევის სახელი გაითქვა.

ხშირად ემასხრებოდნენ მებრძოლები, რად გინდა ტყვიამფრქვევი, ოღონდ შენ კარგი ხალათები შეგვიკერე და მტერს შენამდე არ მოვუშვებთო. მეშჩანკინი ასეთ ხუმრობას ყოველთვის უპასუხოდ ტოვებდა და ტყვიამფრქვევს თავს არ ანებებდა.

როცა ბრძოლა დაიწყო და მათი ასეული ბრძოლის ველზე გავიდა, მეშჩანკინიც თან გაჰყვა, ბრძოლაში ჩარევას ნატრობდა. შემთხვევას ეძებდა, რათა ყველასათვის დაემტკიცებინა, რომ მას ტყვიამფრქვევის სროლაც ისევე კარგად შეუძლია, როგორც ხალათის შეკერვა.

აი, მეშჩანკინი ხედავს, რომ მის წინ მეტყვიამფრქვევე დაიჭრა, სროლა შეწყდა. იაპონელთა ტყვიამფრქვევის ცეცხლი კი ჩვენ ნაწილებს წინსვლას უშლის. მეშჩანკინი არ დაიბნა, დაჭრილ მებრძოლს გამოართვა ტყვიამფრქვევი, მოხერხებულ ადგილას მიაგორა და წინასწარ შენიშნულ მტრის ტყვიამფრქვევის ბუდეებს დასცხო. მეშჩანკინმა სამი იაპონელი მეტყვიამფრქვევე მოსპო, მათი ცეცხლი შეაჩერა და ასეულს წინსვლისათვის გზა გაუხსნა.

ასეთი გმირობა ჩაიდინა ასეულის მკერავმა.

დახმარება

გააფრთებული ბრძოლის დროს, როცა ყველა წითელარმიელი ანთებული იყო გამარჯვების წყურვილით, ლეიტენანტ ლევჩენკოს ასეული შეტევაზე გადავიდა. მებრძოლები ძლიერი ვაშას ძახილით უკან მიჰყვნენ. მიდიოდნენ ამაყად, გაბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დული ნაბიჯით და გამარჯვების ურყევი რწმენით.

ლეიტენანტი ლევჩენკო ძლიერ დაწინაურდა. ცალ ხელში რევოლვერი ეჭირა, მეორეში კი ხელყუმბარა. უცებ მის წინ შვიდი იაპონელი გაჩნდა. ისინი ჯერ შედგნენ, უკან გაქცევა დააპირეს, მაგრამ რაკი დარწმუნდნენ ერთი კაცი იყო, შვიდივე გამოეშურა მისკენ, ლევჩენკომ პირველად ის განგმირა, რომელიც წინ მოდიოდა. შემდეგ ცალ მუხლზე წამოიჩოქა და მეორეს დაუმიზნა. ისიც დაეცა. დანარჩენები ახლოვდებოდნენ. სადაც იყო დაიღუპებოდა ლეიტენანტი უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ აქ მეტყვიამფრქვევე ულიანოვმა იხსნა საყვარელი მეთაური. მან შენიშნა იაპონელები, მოხერხებული ადგილი მოძებნა და სწორედ იმ დროს, როცა მოახლოვებულმა იაპონელმა ხმალი ამართა ლევჩენკოს გასაგმირად, ააკანდა ულიანოვის ტყვიამფრქვევი, და იაპონელ სამურაის ხმალი ხელიდან გაუვარდა, დანარჩენი ოთხი იაპონელიც ვერ გაექცა ულიანოვის ტყვიამფრქვევს, მათაც დანარჩენების ბედი გაინაწილეს. უვნებლად გადარჩენილი ლეიტენანტი სწრაფად წამოდგა და მქუხარე ხმით კვლავ შესძახა:

— წინ, ამხანაგი სტალინისათვის!

სერგო მინაშვილი

გურამის წერილი ქალაქიდან

დედიკო, რაც წამოვედი,
მას შემდეგ ვსწავლობ ბეჯითად;
არც ვცელქობ, აღარც ვეშმაკობ,
სკოლაში დავალ სულ დინჯად.

საუკეთესო ნიშნები
იქნება ამის თავდები...
გარწმუნებ, მალე, დედიკო,
ფრიადოსანი გავხდები.

ქალაქი ძლიერ კარგია,
აქ ხშირად არის დარები...
არ მავიწყდება, სულ მახსოვს
მე შენი დანაბარები.

ჩვენი მეზობლის ბიჭები
ჩემთან სწავლობენ სულყველა,
გუშინ მივიღე მე შენი
გამოგზავნილი ჩურჩხელა,

ყურძენი, მსხალი და ვაშლი,
ხაჭაპური და ქადები,
თან შენი დარიგებები,
წერილში დანახატები.

ახლაც იმაზე ვფიქრობდი,
წერილს რომ ვწერდი ეს იყო,
ვეცდები ვიყო ისეთი,
შენ რომ მწერ, ჩემო დედიკო!

ნინო ნაკაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბეკეკა

გაგრძელება

(ტყის ის ნაწილი, სადაც მგელი კურდღელს ჭამდა. ბილიკით ჩამოდის ბებია. ხელში წინდა უჭირავს და ქსოვს, ბეკეკას ეძებს). — ბეკეკაა, ბეკეკაა, ჩემო კიკინავ, სადა ხარ, სადა, ჩემო ლამაზო? მთელი დილაა გეძებ, ჩემო კიკინავ, ვაი თუ არწივმა წაგიღო, ვაი თუ მგელმა შეგჭამა! (დადის, ხან დაიხრება, აცქერდება ნაკვალევს), — ვაი, ვაი, ვაი, ეს ხომ მგლის კვალია! ვაი, ვაი, ვუი, ვუი, ჩემი მშვენიერი ბეკეკა მგელს წაულია! გამოვუდგე, ეგებ დავეწიო. (აიწევს კაბის კალთას და მირბის, წააწყდება კურდღლის ძვლებს, დახედავს თუ არა, დაიყვირებს) — ვაიმე, ჩემი ბეკეკა მგელს დაუგლეჯია! (გული წაუვა და დაეცემა. მეორე მხარეს პატარა მინდორში, სადაც ბეკეკა ბალახობდა, შემოდიან თიკანი, თხა — ნაცარა და ქოფაკი).

თიკანი: — აი, დედა, აქ იყო მგელი. მე რომ გავძეხი, ცეკვა დავიწყე და ვმღეროდი, აი ასე (მღერის)

ბეკეკა ვარ, ბეკეკა,
ლამაზი და კოხტა,
არ მეშინია მე მგლის,
ის ხომ გუშინ მოკვდა.

უცებ გამოვარდა მგელი, დამიბრიალა თვალები, აი ასე (ვითომ მგელივით აბრიალებს თვალებს) და მითხრა, მინდორი ჩემიაო...

თხა-ნაცარა: — ოჰ, ოჰ, მერე, მერე, სთქვი ჩქარა.

ქოფაკი: — (ბოხი ხმით ყეფს და ხტის) ბეხ, ბეხ, ბეხ, სთქვი ჩქარა, მე ვაჩვენებ იმას თვალების დაბრიალებას, მე...

თხა-ნაცარა: — ჩუუ, არ გაგიგონოს! ქოფაკს ცხვირზე ფეხს მიაფარებს.

ქოფაკი: — (დარცხვენით, კუდის ქნევით, უფრო ნელა) — ჰამ, ჰამ, ჰამ.

თიკანი: — დამიბრიალა და მითხრა, მოწმე მოიყვანეო. ვინაა დედაშენი თხა-ნაცარა, იმ ბრიყვს უჯერებ და მე არაო?

თხა-ნაცარა: — (იცინის) კი-კი-კი-კი, თვითონ ბრიყვი! მოწმე მოვიყვანეთ და აბა, ახლა ნახოს, ვინ არის ბრიყვი!

ქოფაკი: — ბეხ, ბეხ, ბეხ, ნახოს, ვინ არის ბრიყვი!

თხა-ნაცარა: — (ქოფაკს) სუუ, ფარეხა, სუუ. შენ აი ამ ჩირგვებში დაიმალე და, როგორც დაგარიგე, ერთი კარგად მოსცხე შენებურად იმ კისერგაშეშებულს, ნახავს, ვისიც არის ეს მინდორი.

ქოფაკი — (დარბის) ბეხ-ბეხ-ბეხ, ნახავს, ვისიც არის ეს მინდორი.

თხა-ნაცარა: — ნუ ჰყეფ, ნუ ჰყეფ, ფარეხა. გაგიგონებს მეთქი ის წყეული.

ქოფაკი: — (კუდის ქნევით) — მე კი არ ვყეფ, ვმღერი. მიხარია, რომ მოვსცხებ.

თიკანი: — (იცინის და მღერით დარბის)

ბე-კე-კე-კე-კე,
ერთი კარგად მოსცხე!

თხა-ნაცარა: (აჩუმებს ბეკეკას, ფეხს უქნევს) სუ, შე სულელო, (ქოფაკს) აბა, ჩქარა, ფარეხა, გეყურება? მორბის ის წყეული.

ქოფაკი: — (აღელვებული) — აბა, აბა, სად დავიმალო, აქა? (თხას მიჰყავს ჩირგვებში და მალავს, მერმე გამოვა და თიკანთან ერთად დგება შუა ადგილას განაბული).

ბებია: — (მობრუნდება, ნელნელა ადგება და ხმისა და ფეხის შეწყობით მოთქვამს ტირილით), ვაიმე, ვაიმე, ჩემო ბეკეკა, რალა ვქნა, ჩემო ლამაზო, ახლა რომ ამას ბავშვები გაიგებენ, ხომ კიდევ უფრო დამცინებენ და იმღერებენ ჩემზე:

„ჩვენსა ბებიას ბეკეკა ჰყავდა,
ბებერს კიკინა მეტად უყვარდა,
ბეკეკას სეირნობა ტყეში მოუნდა,
წვერის ცანცარით გზასა გაუდგა,
წინ შეეფეთა მას ტურა — მგელი,
ბებიას დაუტოვეს რქები და ძვლები!

(რიტმიული ბარბაცით და ტირილით მიდის აღმართში ბილიკით და ტყეში მიიმალება. ხეებში მოიპარებიან მგელი და ტურა. ტურა უკან მოსდევს მგელს. მეორე მხარეს მინდორში, სადაც თხა-ნაცარა და ბეკეკა დგანან, შემოდიან მგელი და ტურა. თხა და თიკანი ვითომ ვერ ხედავენ).

მგელი: — (ტურას) აი, შე გლახავ, არ მოვლენო, ხომ მოვიდნენ.

ტურა: — რა მსუქანი თხაა, ბატონო, დიდი შენ მიირთვი და...

მგელი: — (ულრენს) ღრ, ღრ, შენ არავინ გკითხავს, რომელს მივირთმევ! (შეშინებული ტურა გადახტება, მგელი გამოვა წინ და გახარებული დაუყვირებს): აჰაა, მობძანდი, ბრიყვო თიკანო? ესაა შენი მოწმე?

თიკანი: — არა, ბატონო, ეს ჩემი დედა, თხა-ნაცარაა.

მგელი: — (სიცილით) ხო-ხო-ხო, აბა სადაა შენი თიკნის მოწმე, მოქალაქე თხა-ნაცარავ? აი მე მოვიყვანე ჩემი მოწმე, მართალი, პატიოსანი და ამასთან გულადი ტურა — ტუროსანი.

თხა-ნაცარა: — ჩვენ მოწმე არა გვყავს, თქვენო ბრწყინვალებავ, რასაც თქვენი მოწმე ბრძანებს, ჩვენ ყაბულს ვართ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგელი — ჰე, ბიჭო, მოდი, მე ხომ აქა ვარ, ნუ გეშინია!

ტურა: — (ასწევს კუდს და თამამად, კლანჭვით გადახტება წინ), ჰაი, შენ, სულელო თიკანო კიკინავ და დედავ, თხა-ნაცარავ, კიდევ უფრო სულელო და თავქარიანო, განა არ იცით, რომ ეს მინდორი ბიბინა და ტყე შრიალაც ბატონ ნადირთ-ნადირს მგელს ეკუთვნის? განა თვითონ არ ბრძანა ამას მთელი ქვეყნის ნადირი დაამტკიცებსო?!

თხა-ნაცარა: — თუ შენ მართალს ამბობ, პატიოსანო ტურავ — ტუროსანო, აი ამ ჩირგვზე დაიფიცე.

მგელი: — ჰე, ბიჭო, მოდი, მე ხომ აქა ვარ, გადახტი ხელად, ნუ გეშინია!

ტურა: — (მხიარულად, ხტუნვით მიდის ჩირგვთან) ვფიცავ... (ქოფაკი წამოიწევს ჩირგვებში და დაუბრიალებს თვალებს, ისე რომ მგელი ვერ ხედავს. ტურა თავზარდაცემული მოტრიალდება და გარბის ბილიკით, ქოფაკი ისევ ჩაიმალება).

მგელი: — (გაბრაზებული ტურას) — მირბიხარ, შე გლახავ, ახლავე დაიფიცე: (თხებს) — არა და მე თვითონ დავიფიცავ!

თხა-ნაცარა: — კი-კი-კი-კი, შენ თვითონ დაიფიცე, დაგიჯერებთ, ბატონო!

მგელი: (ძუნძულით მირბის ჩირგვთან) ვფიცავ ჩემ მგლურ პატიოსნებას.

ტურა: — (ბილიკზე გადმოდგება) ბიძაჩემო, ბიძაჩემო, თავს უშველე, თორემ თიკანი კი არა. ტყავიც მანდ დაგრჩება! (ყყურებს მალლიდან. ამ დროს ქოფაკი წამოვარდება ჩირგვიდან. შეშინებულ მგელს გაქცევა უნდა, მაგრამ ქოფაკი გამოვარდება და ეცემა).

ქოფაკი: — ბეხ,-ბეხ-ბეხ. მე შენ გაყურებინებ შენს მინდორს! სადაა შენი მინდორი, ბეხ-ბეხ,-ბეხ, ვინ მოგცა შენ მინდორი! ბეხ ბეხ-ბეხ! ვერ მოგართვი მინდორი! (იბრძვიან, ჭიდაობენ, ძიძგილაობენ).

მგელი: — (ღრიალით) უჰ, ვააჰ, ოოხ, ქურქი, ქურქი დამიხია ამ საძაგელმა... ოოხ, ყური, ყური მომგლიჯა ამ უზრდელმა!

თხა-ნაცარა და თიკანი: (დარბიან ძაღლისა და მგლის ჩხუბის დროს მათ ირგვლივ, კარგა შორ მანძილზე, და ამხნევებენ ქოფაკს). ჰო, ჰო, ეგრე, ეგრე მაგას, ჰო, დაჰკა მაგ მსუნაგს, დასცხე მაგრად ბატონ ნადირთ-ნადირს, რომ ველარ გაბედოს ჩვენი შეშინება და დაჩაგვრა. ჰაი, შე საძაგელო, მაშ რა გეგონა! (მგელი გამოუსხლტება ძაღლს და გარბის დასისხლიანებული).

ქოფაკი: — (გაცხარებული ყეფით მისდევს) ბეხ-ბეხ-ბეხ! (თხა ნაცარა და თიკანიც გამოუდგებიან).

თხა-ნაცარა: — დაიცა, ფარეხა, მობრუნდი, მარტო არ დაგვტოვო.

ქოფაკი: — (ბრუნდება. თათში მგლის ყური უჭირავს) ბეხ-ბეხ-ბეხ! გამექცა, მარტო ყური მოვაგლიჯე იმ მსუნაგს. მაგრამ არა უშავს! (მგლისაკენ) აბა, თუ კიდევ გაგიბედნია და გითქვამს მინდორი ჩემიაო, მე შენ გაყურებინებ სეირს, ახლა ესეც გეყოფა.

თიკანი: — აჰ, რა მიხარია, მგელი გავაქციეთ (დარბის კუნტრუშით მინდორში).

ბებია: — (ჩამოდის მინდორში ბილიკით,

უცებ შეჩერდება გახარებული ამას რას ვხედავ: ჩემი ბეკეკა, თხა-ნაცარა, ჩემი ფარეხა! (თიკანს) — ბატონ-ყმა შეგეჭამა მგელმა! (დაიჭერს, აიკიდებს ხელში და ეალერსება) — ოჰ, რა მიხარია, ჩემო კარგო ბეკეკა! (გახარებული ცეკვავს და მღერის. თხა-ნაცარაც და ქოფაკიც დასდევენ მას ცეკვით, თხა რქებით ეთამაშება, წვერების ცანცარით დახტის და იძახის: „კი-კი-კი“ ძაღლი, ყურით თათში, ყეფს: „ბეხ-ბეხ-ბეხ-ბეხ!“ კუდის ქნევით, ალერსით შეახტება ბებიას, თითქოს ჰკოცნის თავზე. ბეკეკა კი მღერის: ბე-ბე-ბე, კე-კე-კე. მაგრამ ყველანი ისე ამბობენ თავთავიანთ სიტყვებს, რომ ერთმანეთს არ უშლიან).

ბებია: (მღერის და ცეკვავს)

შენ ბეკეკა ხარ, ბეკეკა,
ლამაზი და კოხტა.
მგლისა შენ არ შეგეშინდეს,
ის ხომ გუშინ მოკვდა.

(ბეკეკას ძირს ჩამოუშვებს და ყველანი განაგრძობენ ცეკვასა და სიმღერას.

ყველანი:

არ გვეშინია ჩვენ მგელის,
მას ხომ კარგად მოხვდა,
ხა-ხა-ხა-;ხა-ხა-ხა,
მას ხომ კარგად მოხვდა.
წუწკი, ცრუპენტელა ტურა
ცხრა მთას იქით გადიკარგა,
როცა ქოფაკმა ფარეხამ
თვალები დაუბრიალა,
ხა-ხა-ხა, ბეხ-ბეხ-ბეხ!
თვალები დაუბრიალა.

თიკანი:

ჩემი დედა ბასრრქიანი,

ბებია:

ჩემი თხაი ბასრრქიანი,
მშვენიერი თხა-ნაცარა,
ჩვენ მგელი ვერას დაგვაკლებს
თუ წვერი დააცანცარა,
ხა-ხა-ხა, ხა-ხა-ხა,
თუ წვერი დააცანცარა.

ქოფაკი:
ბეხ-ბეხ-ბეხ, ბეხ-ბეხ-ბეხ,
მე მას ყურებს დავაგლეჯ.
ყველანი:
კი-კი-კი, კი-კი-კი,
ჩვენ მას ყურებს დავაგლეჯთ
ბებია: — ჩემო კარგებო, ჩემო ლამაზებო,
შინისაკენ გავსწიოთ.
ყველანი:
ხა-ხა-ხა, კი-კი-კი.
ბე-კე-კე-ბეხ-ბეხ-ბეხ,
შინისაკენ გავსწიოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(სიმღერითა და ცეკვით მიდიან ყველანი ბილიკით შინისაკენ).



Ღ. კახიანი

კონდორი

სამხრეთ ამერიკაში, ანდის მთების ძლიერ ციცაბო კლდოვან ადგილებში, ბუდეს იკეთებს ერთი ვეება, ფრიად მძლავრი მტაცებელი ფრინველი, რომელსაც კონდორი ეწოდება. მისი სიმაღლე ერთ მეტრს აღემატება. ტანი მოშავო ბუმბულით აქვს შემოსილი, კისერზე მოწითალო ფერი გადაჰკრავს, ლონიერი ბრჭყალებითა და წვეტიანი ნისკარტით იგი უძლიერესია ფრინველთა სამყაროში. ის 2,75 მეტრის მანძილზე მძლავრად გაშლილი ფრთებით დაქრის 7-8 კილომეტრის სიმაღლეზე. არ არსებობს ფრინველი, რომელსაც შეეძლოს რითიმე მეტოქეობა გაუწიოს ამერიკის მაღალი მთების შვილს. უსაზღვრო სივრცეში ლაღად მონავარდე კონდორი დაკვირვებით ზვერავს მიწის წიაღს. კურდღელი, ბატკანი, თიკანი, გოჭი მისი საყვარელი საკვებია. ხშირად თვით მოზრდილი შველიც ხდება მსხვერპლი მისი გაუმაძღრობისა. ამ უკანასკნელს კონდორი მოულოდნელად თავს ესხმის და თავში თავის მძლავრ ნისკარტს მანამდე სცემს, ვიდრე უბედური ცხოველი გულშელონებული უგრძნობლად არ დაეცემა. საშინელი სისხლისმსმელი მას წიწკნის და თანდათანობით ჭამს. კონდორი ცხენის დასხვათა ლეშს მადიანად შეექცევა. როცა ის ჭამს რასმეს, მცირე ფრინველები — ყვავი, ქორი და თვით ქედმაღალი არწივიც — კრძალვით უთმობენ ადგილს, გვერდზე დგებიან. ვის შეუძლია წინ აღუდგეს მის ძლიერებას!

კონდორი, როგორც სვავთა ჯიშის ფრინველი, ძალზე ბევრს ჭამს. შემდეგ ჭამისაგან არაქათგამოლეული გარინდებული ზის და ინელებს საჭმელს. ამ დროს ის წარმოუდგენლად უძლური ქმნილებაა, ფრენისა და მოძრაობის უნარი თითქმის წართმეული აქვს.

სწორედ ამ დროს უვარდება ის ადამიანს ტყვედ ან ტყვიის მსხვერპლი ხდება.

კონდორები კვერცხებით მრავლდებიან. დედა კონდორი ორ თეთრ კვერცხს დებს, რომელთა სიგრძე 11 სანტიმეტრს უდრის. ბარტყები დიდხანს საჭიროებენ მშობლების უშუალო მზრუნველობას. დედა მათ თავდადებით ეწირება განსაცდელის შემთხვევაში.

ამერიკის ინდიელებს შორის ძლიერ გავრცელებულია კონდორებზე ნადირობა, მათ სხვადასხვა ხრიკებით ადვილად იჭერენ და სახლში მიყავთ. ველურთა ერთი ნაწილი დატყვევებულ ფრინველს წამებით ჰკლავს, მის გულს, კუჭსა და წოიან გარსს სამკურნალოდ იყენებენ. პერუელ ცრუმორწმუნეებს კონდორი ღმერთად მიაჩნიათ და პატივით ეპყრობიან.

კონდორები საზოგადოდ ტყვეობას კარგად იტანენ და ზოგჯერ სავსებით შინაურდებიან.

გ. ახობაძე

ედისონი

(1847 – 1931)

დიდი გამომგონებელი **თომას ალვა ედისონი** დაიბადა 1847 წელს საკმაოდ შეძლებულ ოჯახში. პატარა ალვას მამა მეტად მუყაითი და პრაქტიკული გონების ადამიანი იყო. დედაც — ნანსი ელიოტი გამჭრიახი და კეთილი ადამიანი იყო. მან იშვიათი მშობლიური მზრუნველობით აღზარდა ალვა. ალვას ბავშვობიდანვე იტაცებდა ბუნება, იგი ხშირად განმარტოვდებოდა და აკვირდებოდა ყოველივეს, რაც მის ირგვლივ ხდებოდა, მაგრამ იგი არ კმაყოფილდებოდა ზერელე ცოდნით, ცდილობდა გაეგო ყოველივეს მიზეზი. საინტერესოა ერთი ეპიზოდი მისი ბავშვობიდან.

ალვა ხუთი წლისა იყო. მას ჰყავდა მეგობრად ერთი მსუქანი დედალი ბატი. ერთხელ ალვამ დაინახა, რომ დედა საბატეში შესულიყო და ბატს კვერცხებზე სვამდა. ალვა მეტად გააოცა ამან და გაკვირვებით ჰკითხა დედას:

— „რასა შვრები, დედილო, ხომ დაიმტვრევა კვერცხები?

— „მოიცა, ალ, — ალერსიანად უთხრა დედამ, — იგი გამოგვიჩეკს ჭუკებს“. მაგრამ ალვამ ეს არ დაიჯერა და გაკვირვებული შესცქეროდა კვერცხებზე მჯდომ ბატს.

რამდენიმე დღის შემდეგ ალვა შეეიდა საბატეში და მის გაოცებას საზღვარი არა ჰქონდა, როდესაც პატარა ჭუკები დაინახა.

მალე ალვა სადღაც დაიკარგა. ამ გარემოებამ მშობლები შეაძრწუნა და მეზობლები დააღონა. დიდი ხნის ძებნის შემდეგ პატარა ალვას საბატეში მიაგნეს, მაგრამ მივიდნენ თუ არა გამოსაყვანად, შიგნიდან ბრძანების ტონით მოისმა:

— „არ მომეკაროთ! ბატის ჭუკებს ვჩეკ!“ თურმე, ალვას განეზრახა შეემოწმებინა, თვითონაც გამოჩეკდა თუ არა კვერცხებზე ჯდომით ჭუკებს.

ედისონი სკოლაში მხოლოდ ერთ წელსა და სამ თვეს სწავლობდა. დედა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვით ასწავლიდა მას. შინ ალვა მეტად გულმოდგინედ მეცადინეობდა, რის შედეგადაც ცხრა-ათი წლის ალვა თავისი ცოდნით ყველას აოცებდა. მალე პატარა ალვას ოჯახი დიდ ეკონომიურ გაჭირვებაში ჩავარდა, ამიტომ ალვამ გაზეთების გაყიდვა დაიწყო. იგი დიდი რაოდენობით ყიდდა გაზეთებს და თავისი სიმარჯვით საერთო სიყვარული დაიმსახურა, რის გამოც რკინიგზის მმართველობამ მას ვაგონში პატარა ადგილი დაუთმო. ამ პატარა კუთხეში მან თავისი პირველი ლაბორატორია მოაწყო. უამრავ ცდას ახდენდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მან საკუთარი გაზეთის გამოცემაც კი დაიწყო. ამრიგად, 14 წლის ედისონი იყო რედაქტორი, ასოთამწყობი, გადამწერი, მბეჭდავი და საკუთარი გაზეთის გამყიდველიც.

ამის შემდეგ ედისონმა ელექტრობის შესწავლა დაიწყო, შეიძინა საჭირო წიგნები და თავის მეგობარ ჯემს უარდთან ერთად ახდენდა ცდებს.

მეგობრებმა იშოვნეს გრძელი მავთული და თავისი მეგობრის ბინაში გაიყვანეს, ახლა საჭირო იყო დენი, მაგრამ საიდან? ალვას სადღაც წაეკითხა, რომ კატის ტყავის ხანგრძლივი ხახუნით შეიძლება ელექტროენერგიის მიღება. მეგობრებმა დაიწყეს კატებზე ნადირობა. დაიჭირეს ორი დიდი კატა და დაიწყეს ამ ოთხფეხა „დინამომანქანების“ ამუშავება, შეუკრეს კატებს ფეხები და დაუწყეს ზურგზე ხელის სმა, მაგრამ პატარებს იმედი არ გაუმართლდათ — დენი ვერ მიიღეს.

ამის შემდეგ ედისონმა დაიწყო მუშაობა სატელეგრაფო საქმეზე და მრავალი სიახლე შეიტანა მასში. მისი პირველი მნიშვნელოვანი გამოგონება არის ხმის ტელეგრაფული აღმრიცხველი.

ამ ხელსაწყოს საშუალებით ხდებოდა პალატაში ამომრჩეველთა ხმების ზუსტი და სწრაფი დათვლა.

ედისონს იმედი ჰქონდა, რომ ამ თავის გამოგონებას დიდ ფასად გაჰყიდდა და გაეშურა პალატის თავმჯდომარესთან. საინტერესოა მათი დიალოგი:

— გამოგონება ჩინებულია, მართლაც იშვიათია, მაგრამ ჩვენ მას მაინც ვერ ვიყიდით, - უთხრა ედისონს თავმჯდომარემ.

— მაინც რატომ? — ეკითხება გაოცებული ედისონი.

— ჩვენ აქ პოლიტიკასთან გვაქვს საქმე, ჩემო კარგო, პოლიტიკა კი ჩვენს ხელში იარაღია, რომელსაც ჩვენი სურვილისამებრ წარვმართავთ. ჩვენ რომ თქვენი გამოგონება გამოვიყენოთ, მაშინ როგორღა მოვატყუოთ ხალხი არჩევნების დროს?

ასეთი, კაპიტალისტური საზოგადოებისათვის ფრიად დამახასიათებელი, დიალოგით უკმაყოფილო ედისონი გამობრუნდა თავმჯდომარის კაბინეტიდან.

ედისონმა გამოიგონა აგრეთვე მიკროფონი, რომლის საშუალებითაც ხდება ხმის გადიდება.

კიდევ მრავალი ასეული გენიალური გამოგონება აქვს ედისონს. ყოველივე ეს ამ დიდმა ადამიანმა შეძლო თავისი გასაოცარი სიმარჯვით, გამჭრიახობით, მოთმინებით, საქმისადმი სიყვარულითა და ღრმა ინტერესით.

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის
თბილისი

38 340

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 50 კაპ.

ბეკეკა

სიტყვები: ლ. მეგრელიძისა

მუსიკა: თამარ შავერზაშვილისა



2. რქები აქვს ირმის რქისანი,
გულთეთრი, ზურგი ნაცარა,
ბეე... ბეე... ბეკეკა
დღეს რა ლამაზი გამხდარა!

3. მოაბაკუნებს ფეხებსა,
მიხტუნავს ცელქი ნაცარა,
ბაკი... ბაკი, ბეკეკა
დღეს რა ლამაზი გამხდარა.!